ხელშეკრულება №67 /გ

ქ.მცხეთა 10 ივლისი 2019წ.

ერთის მხრივ **ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმომადგენელი მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „პენსან ჯორჯია“** დირექტორის გიგა გობიანიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1 . ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია: **საბეჭდი ქაღალდი** (CPV 30197630)

მუხლი 3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **110,40** (ას ათი ლარი და 40თ) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მისაწოდებელი საქონლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულება დამოკიდებულია „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი და „მიმწოდებლის“ მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე.

3.3. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ იწარმოება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება თანხის გადარიცხვით მიმწოდებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე;

3.5. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ საქონელი გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით,საქართველოს მოწმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით,ხოლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
8.3. „შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები.

მუხლი 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
10.2.მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
10.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 14 აგვისტომდე.

11.2. ხელშეკრულება შევსებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის	შპს „პენსან ჯორჯია“
კეთილმოწყობის სამსახური	მის:თბილისი,თამარ მეფის გამზ.#18
მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ.#136	
ტელ: 2 51 24 14	ს/კ 404870760
ს/კ 436254704	ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია
სახელმწიფო ხაზინა	კოდი: UGEBGE22
	ა/ა GE35VT6500000055555555
	ტელ: 032 2 35 58 44
ნოდარ კაპანაძე ----------	გ.გობიანიძე ----------

The improvements service of Mtskheta Municipality

Digitally signed by The improvements service of Mtskheta Municipality
Date: 2019.07.10 12:00:03 +04'00'

ქ.მცხეთა 10 ივლისი 2019წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და შპს „პენსან ჯორჯია“-ს შორის 2019 წლის 10 ივლისს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N67/გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: ნ.კაპანაძე

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის

მთ.ბუღალტერი: ნ.კვინიკაძე

The improvements service of Mtskheta Municipality

Digitally signed by The improvements service of Mtskheta Municipality
Date: 2019.07.10 12:01:08 +04'00'

მიღება - ჩაბარების აქტი # 136

ქ.მცხეთა 10 ივლისი 2019წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მთ.ბუღალტერი ნ.კვინიკაძე, ხოლო მეორეს მხრივ შპს „პენსან ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი დირექტორი გ.გობიანიძე 2019 წლის 10 ივლისს გაფორმებული #67/გ ხელშეკრულების საფუძველზე ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შპს „პენსან ჯორჯია“-ს დირექტორმა ჩააბარა, ხოლო ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მთ.ბუღალტერმა მიიღო:

1. საბეჭდი ქაღალდი - 12 შეკვრა - (9,20) – 110,40ლ.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის

მთ.ბუღალტერი: The improvements service of Mtskheta Municipality Digitally signed by The improvements service of Mtskheta Municipality Date: 2019.07.10 12:01:34 +04'00' ნ.კვინიკაძე

შპს „პენსან ჯორჯია“-ს დირექტორი: გ.გობიანიძე